# ც ნ ო ბ ა

**დამკვეთი: მოქ.** დავით მარტიაშვილი და მოქ. კახა შარაშენიძე

**საფუძველი:** 12/13275372-16 02.10.2013წ.

**მისამართი: დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, დიღმის მასივი III კვარტალი, №6გ-ს**
**საკ.კოდი:** 01.13.03.010.058

**პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება –** 01.1741 08.12.2008წ.

**მშენებლობის სანებართვო მოწმობა –** 6/1846-1 08.12.2008წ.

**ფუნქციური დანიშნულება: საზოგადოებრივი კვების ობიექტი**

**ობიექტის ადგილზე შემოწმებით** (17.10.13) **დადგინდა:**

შენობის ფასადებზე შეცვლილია კარფანჯრის ღიობების გაბარიტები, რაოდენობა, ნახატი და ადგილმდებარეობა. ასევე შეცვლილია აივნების კონფიგურაცია (ზოგიერთი აივნები არ არის გამოყენებადი არ არის მოწყობილი გამოსასვლელი ღიობები), ასევე ზოგი აივანი ამოშენებულია და გაუქმებულია. შეცვლილია დეკორატიული ელემენტები, შეცვლილია ფასადების მოპირკეთება და შენობის ფერები არ ემთხვევა საპროექტოს. შეცვლილია სახურავის კონფიგურაცია, შეცვლილია სამერცხლეების ფორმა, რაოდენობა და გადაადგილებულია. 14-1 ფასადზე -3.30 ნიშნულის ქვევით შეცვლილია თაღების ფორმა (აღნიშნული ოვალური თაღები მოწყობილია ლითონის კარკასზე). თაღების ქვეშ მოწყობილი სვეტები და რიგელები არ არის ასახული არქიტექტურულ პროექტში. ასევე დამატებულია ლითონის დგარები. "4-1" მონაკვეთში მოწყობილია ვიტრაჟები.

ფასადების არქიტექტურული იერსახე არ ემთხვევა საპროექტოს.

ა-ზ ფასადის მხარეს დამატებით განთავსებულია ხის ფანჩატურები.

შენობის შიგნით შეცვლილია კედლების კონფიგურაცია, ასევე შეცვლილია სართულშუა გადახურვის ფილის კონფიგურაცია, რითაც შეცვლილია (გაზრდილია) ფართი. დამატებულია შიდა კიბეები და ორი ტექნიკური ლიფტი. ასევე დამატებულია პანდუსები და დონეები. კედლებს და კოლონებს შორის მანძილი არ ემთხვევა საპროექტო. ზოგიერთ მონაკვეთში გაუქმებულია სვეტები. -3.30 ნიშნულზე მიწისქვეშა ავტოსადგომი გადაკეთებულია კომერციულ ფართად.

„14-14" ღერძის გარეთ -3.30 და +0.00 ნიშნულებზე დამატებით შექმნილია ფართები (დაახლოებით 35.0 მ$^2$). ასევე დამატებულია აივანი. „9-14" მონაკვეთში -3.30 ნიშნულზე შექმნილია დამატებით ფართი (დაახლოებით 150.0 მ$^2$). „3-5" მონაკვეთში შემცირებულია ფართი (დაახლოებით 15.0 მ$^2$-ით), ასევე „თ-თ" ღერძზე კედლები და აივნები გადაწეულია წინ და გაზრდილია ფართი. +0.00 ნიშნულზე „9-10" მონაკკვეთში დამატებით შექმნილია ფართი (დაახლოებით 35.0 მ$^2$), „12-14"

მონაკვეთში დამატებულია ფართი (დაახლოებით 40.0 მ$^2$). „4-1" მონაკვეთში შეცვლილია ტერასის კონფიგურაცია.

+3.30 ნიშნულზე შეცვლილია ანტრესოლების ფორმა და დამატებულია დონეები, ხოლო აღნიშნული ანტრესოლების ძირში დამატებულია რიგელები. +6.60 ნიშნულზე სახურავის ქვეშ არ არის მოწყობილი გადახურვა. -3.30 ნიშნულის ქვევით კონსტრუქციულ ნახაზზში ნაჩვენები ჯებირი არ არის მოწყობილი.
გაზრდილია სართულშუა გადახურვის სიმაღლეები.

შეცვლილია ღობის კონფიგურაცია, ეზოში განთავსებულია ლამპიონები და გენერატორები. ფასადებზე დამატებულია კონდიციონერები. ასევე დამატებულია ლითონის ჭიშკარი და ორი კარი. კაპიტალურ ღობეში განთავსებულია ღიობი.
შენობაზე და ღობეზე განთავსებულია სარეკლამო აბრები.

-3.30 ნიშნულზე ჩასასვლელი პანდუსი და მის გვერდით მოწყობილი ღობეები განთავსებულია დამკვეთის საკუთრებაში არსებულ მომიჯნავე საკადასტრო ერთეულზე (№01.13.03.010.124).
შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთისი საკადასტრო კოდი 13.03.010.058 ნაცვლად რეგისტრირებულია 01.13.03.010.097.
საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით საპროექტო ტერიტორიის ფართობი პროექტში ნაჩვენები 1500.0 მ$^2$-სი ნაცვლად რეგისტრირებულია 1715.21 მ$^2$.

ვ.ამისულაშვილი

გ.გეგელაშვილი